ნავთობპროდუქციის (საწვავის) კონსოლიდირებული ტენდერის (CON-12001) საშუალებით

ნავთობპროდუქციის (საწვავის) სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება 136

ქ. თბილისი

03.05.2012 წ.

1. ერთი მხრივ, შპს სან პეტროლიუმ ჯორჯია ს/კ 404391136 (შემდგომში-მიმწოდებელი) წარმოდგენილი მისი კორპორატიული გაყიდვების უფროსის მოადგილე საბა ჯიშიაშვილი სახით და, მეორე მხრივ ,,საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო"(შემდგომში-შემსყიდველი ორგანიზაცია) წარმოდგენილი მინისტრის პირველი მოადგილის გიორგი ავალიანის სახით, „სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" საქართველოს კანონის 20² მუხლის, „ნავთობპროდუქციის (საწვავის) სახელმწიფო შესყიდვის კონსოლიდირებული ტენდერის საშუალებით განხორციელების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის # 2622 განკარგულებისა და „ნავთობპროდუქციის (საწვავის)კონსოლიდირებული ტენდერის ჩატარების წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავჯდომარის 2011 წლის 29 დეკემბრის ბრძანების მე-9 მუხლის მე-7 პუნქტის საფუძველზე, დებენ წინამდებარე საწვავის სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას (შემდგომში - ხელშეკრულება) შემდგეზე:

2. <u>ხელშეკრულების საგანი:</u> ტალონური სისტემით საწვავის შესყიდვა (10 ლიტრიანი ტალონის ნომინალებით). ტალონური სისტემით საწვავის სუპერის (CPV-09132000) (ოქტანობა არანაკლებ 98) შესყიდვა.

3. <u>მოცულობა საწვავის ტიპის/მარკის მიხედით:</u> წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების განმავლობაში შემსყიდველი ორგანიზაცია შეისყიდის სუპერს **1600** ლიტრს.

4. მხარეები თანხმდებიან, რომ ერთი ლიტრი სუპერის ფასი შეადგენს - 2,40 ლარს.

ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 3840 (სამიათას რვაასორმოცი) ლარს.

5. შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ საწვავის ფასის გადახდა ხდება წინსწრებად, 2011 წლის 29 დეკემბერის სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის №25 ბრძანების მე-9 მუხლის მე-5 პუნქტის საფუძველზე. მიმწოდებლის მიერ შემსყიდველი ორგანიზაციისათვის ტალონების გადაცემა ხდება მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე, მხარეთა შეთანხმებით განსაზღვრულ დროს. საწვავის ტალონების მიმღებ პირად განისაზღვრება საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს ადმინისტრაციული დეპარტამენტის სამეურნეო და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამართველოს უფროსი **მიხეილ ფიცხელაური**.

6. საწვავის სახელმწიფო შესყიდვა ხორციელდება კონსოლიდირებული ტენდერის CON-12001-ს შესაბამისად.

7. ხელშკრულების მოქმედების ვადა: წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელმოწერის თარიღიდან და ძალაშია 2012 წლის 30 მაისის ჩათვლით

8. შემსყიდველი და მიმწოდებელი ადასტურებენ, რომ წინამდებარე ხელშკრულება არ ეწინააღმდეგება და არ აუარესებს კონსოლიდირებული ტენდერის CON-12001 სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნებისა და მიმწოდებლის საწვავის მიწოდების ძირითად პირობებს, რომელიც დამტკიცებულია სატენდერო კომისიის მიერ.

9. მიღება-ჩაბარების აქტით ტალონების გადაცემის შემდეგ შემსყიდველზე გადადის ტალონების დაზიანების, განადგურების, დაკარგვის რისკი და მიმწოდებელი თავისუფლდება ტალონების გამოცვლის, ან დაკარგვით გამოწვეული რაიმე სახის ზიანის ანაზღაურების ვალდებულებისგან. შემსყიდველზე გადაცემული ტალონები არ ექვემდებარება უკან დაბრუნებას ან სხვა სახეობის ტალონებზე გადაცვლას; ტალონით საწვავის გაცემისას დაუშვებელია ავტოგასამართ სადგურზე წარმოდგენილი ტალონის ნაწილობრივი განაღდება.

10. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია სამ იდენტურ ეგზემპლარად, რომელთაგან ორი გადაეცემა შემსყიდველ ორგანიზაციას, ხოლო ერთი მიმწოდებელს.

მხარეთა რეკვიზიტები:

მიმწოდებელი	**შემსყიდველი**
შპს სან პეტროლიუმ ჯორჯია იურიდიული მისამართი: ქ.თბილისი,ძველი თბილისის რაიონი, დ.აღმაშენებლის # 154 საიდენტიფიკაციო კოდი: 404391136 ბანკი: სს „საქართველოს ბანკი"-ს ტ/ფ ბანკის კოდი: BAGAGE22 ანგარიშის # GE62BG0000000876831000 ბანკი: სს „თიბისი ბანკი"-ს ტ/ფ ბანკის კოდი: TBCBGE22 ანგარიში # GE05TB7538836020100001	**საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო,** მის: ქ. თბილისი, ჩოლოყაშვილის გამზირი №9, **ტელეფონი:** 2-235-149, **საბანკო რეკვიზიტები:** ანგ. №200122900, სახელმწიფო ხაზინა, კოდი 220101222, სკ-204861916.
გამყიდველის სახელით, ს. ჯიშიაშვილი	**მყიდველის სახელით,** გ.ბავალიანი

ხელწერილი ინტერესთა კონფლიქტის შესახებ

2012 წლის „03" „ივნისი"

ვადასტურებთ, რომ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის თანახმად **საწვავის სუპერი-ს** შესყიდვასთან **(ტალონების საშუალებით)** დაკავშირებით გასაფორმებელ ხელშეკრულებაში მითითებულ მიმწოდებელთან ინტერესთა კონფლიქტში არ ვიმყოფებით.

ხელშეკრულების დადებაზე უფლებამოსილი პირი _____ გიორგი ავალიანი

მიღება-ჩაბარებაზე უფლებამოსილი პირი _____ მიხეილ ფიცხელაური